პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 164 (5194)

20 აგვისტო, შაბათი, ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

# სასიხარულო მოვლენა

## სტარტზე გამოდის ათასი სპორტსმენი

ვენა, 18 აგვისტო. ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ათასამდე წარმომადგენელმა მოიყარა თავი ვენაში, სადაც კვირას დაიწყო საწყლოსნო სპორტის სახეობათა XIII ჩემპიონატი (ცურვა, წყალში ხტომა, წყალბურთი).

ევროპის ჩემპიონატში საბჭოთა სპორტსმენები ერთ-ერთ ფავორიტებად მიაჩნიათ. ამ აზრისა არიან თვითონ მონაწილენიც. მაგალითად, როცა ინგლისელ მოცურავეს უილკის ჰკითხეს, რომელ ადგილზე გასვლის იმედი გაქვთო, მან უპასუხა: 200 მეტრზე ბრასით ცურვაში პირველი იქნება... მიხეილ ხრიუკინიო.

პოპულარობით სარგებლობენ გდრ-ის წარმომადგენლებიც.

საბჭოთა სპორტსმენები დააბინავეს ახალთახალ „ტუროტელში", წყნარ, ქალაქის ხმაურისგან მოშორებულ სასტუმროში. აქედან ავტობუსით 20-25 წუთის სავალია შეჯიბრების ადგილამდე.

შაბათს ჩემპიონატის მონაწილენი ვარჯიშობდნენ, მაგრამ ავსტრიის დედაქალაქში ერთი „რეკორდი" მაინც დამყარდა: სიცხემ 89 გრადუსს მიაღწია. ახლა ყველა შურის თვალით უყურებს მოცურავეებსა და წყალბურთელებს...

შეჯიბრება ტარდება ცურვის ახალ ცენტრში, რომელსაც ხუთი ღია აუზი აქვს. „შვიმ სტადიონის" მთავარი აუზის ტრიბუნები 8 ათას მაყურებელს იტევს.

ცურვის ცენტრი აღჭურვილია უახლესი ელექტრომოწყობილობით მონაწილეთა შედეგების ავტომატურად აღრიცხვისთვის.

ამ დღეებში ევროპის ცურვის ლიგის კონგრესის სხდომაზე გადაწყდა, რომ კონტინენტის შემდეგი ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში ჩატარდება 1977 წელს შვედეთის ქალაქ იონჩეპინგში.

ლიგის პრეზიდენტად კვლავ არჩეულია სალფორსი (შვეცია), ვიცე-პრეზიდენტად — ზ. ფირსოვი (სსრ კავშირი).

ლიგის ბიუროში მომდევნო ოთხი წლით არჩეულია სოციალისტური ქვეყნების სამი წარმომადგენელი, ერთის მაგიერ. ამასთან, ამ ხელმძღვანელ ორგანიზაციას შეემატა „სუხტთა სქესის" წარმომადგენელი, ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლის მფლობელი, წარსულში ცნობილი უნგრელი სპორტსმენი ილონკა ნოვაკი.

შეჯიბრების დაწყებამდე საბჭოთა სპორტსმენთა ჯგუფში დიდი სიხარული იყო: სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა წერილი გაუგზავნა ხარკოველ მოსწავლეს, კომკავშირის XVII ყრილობის დელეგატს, სსრ კავშირის წლევანდელი პირველობის ხუთგზის ჩემპიონს, ქვეყნის მრავალგზის რეკორდსმენს ნატაშა პოპოვას. ლ. ი. ბრეჟნევი ამ წერილში გულთბილი სიტყვებით მიმართავს 15 წლის გოგონას, რომელიც კარგად უთავსებს ერთმანეთს წარჩინებით სწავლას და მაღალი სპორტული შედეგებისთვის ბრძოლას.

დღის მეორე ნახევარში საბჭოთა დელეგაციის ყველა წევრი მიტინგზე შეიკრიბა. აქ ითქვა, რომ წერილი, რომელიც ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ნატაშა პოპოვას გაუგზავნა, სინამდვილეში მიმართვაა ყველა საბჭოთა სპორტსმენისადმი. ესაა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვის კიდევ ერთი ნათელი გამოხატულება.

პრატერის პარკის საწყლოსნო სტადიონზე მოეწყო ვაჟთა და ქალთა წინასწარი გაცურვები სხვადასხვა დისტანციაზე. „შტადტჰალეს" აუზში ჩატარდა წყალბურთელთა სამი მატჩი. საბჭოთა ნაკრები შეხვდა ესპანეთის გუნდს და გაიმარჯვა — 9:5. უნგრელებმა დაამარცხეს გფრ-ის ნაკრები — 6:2. იუგოსლაველებმა მოუგეს ჰოლანდიელებს — 5:3.

4×100 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტის წინასწარ გაცურვებში საუკეთესო შედეგი აქვს გფრ-ის გუნდს — 3.32,09. საბჭოთა კვარტეტი II ადგილზეა — 3.32,18.



# გამარჯვებული ერთი ტურით ადრე გამოვლინდა

ტალინი, 18 აგვისტო. დამთავრდა კალათბურთელ ვაჟთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი მფრინავ-კოსმონავტ ი. გაგარინის სახელობის პრიზზე. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ შეჯიბრებას ხუთი წლის ისტორია აქვს და ხუთივეჯერ მთავარი პრიზი საბჭოთა კალათბურთელებს ხვდათ.

ტურნირის ცენტრალური მატჩი გათამაშდა გუშინ სსრ კავშირის I ნაკრებსა და ესტონელებს შორის. საბჭოთა ნაკრების კალათბურთელებმა, რომლის შემადგენლობაშიც მსოფლიო ჩემპიონები გამოდიოდნენ, ამჯერადაც კარგად ითამაშეს და მოუგეს მეტოქეს ანგარიშით 103:79. ამ გამარჯვებამ ტურნირის დამთავრებამდე ერთი დღით ადრე მთავარი პრიზი სსრ კავშირის ნაკრებს მოუტანა.

დაძაბული გამოდგა სსრ კავშირის ახალგაზრდული გუნდისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრების ბრძოლა. მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთმა ზუსტმა სროლამ ბოლო წუთზე. ახალგაზრდა საბჭოთა კალათბურთელებმა გაიმარჯვეს — 58:57.

დღეს გაიმართა ტურნირის ორი ბოლო შეხვედრა. ესტონელებმა დაამარცხეს ჩეხოსლოვაკიელები, სსრ კავშირის პირველმა გუნდმა კი — ახალგაზრდული ნაკრები.

სამივე საპრიზო ადგილი საბჭოთა კალათბურთელებს შორის განაწილდა. მთავარი ჯილდო, როგორც უკვე ვთქვით, სსრ კავშირის I გუნდმა მიიღო. ესტონელები II ადგილზე გავიდნენ, ახალგაზრდული ნაკრების წევრები კი — III.

დაწესებული იყო სპეციალური პრიზი ყველაზე შედეგიანი კალათბურთელისთვის. ეს ჯილდო მიიღო იუგოსლაველმა გ. იელოვაცმა, რომელმაც 4 მატჩში თავის კოლექტივს 112 ქულა შესძინა.



# პირველი შეხვედრები

კაბანა, 18 აგვისტო. აქ, „კოლიზეის" სპორტის სასახლეში, რომელიც 14 ათას მაყურებელს იტევს, სტარტი აიღო მოყვარულ მოკრივეთა მსოფლიო ჩემპიონატმა. სარბიელზე გამოდიან 40 ქვეყნის უძლიერესი მოკრივეები. აქ ფავორიტებად ასახელებენ სსრ კავშირის, პოლონეთის, კუბის, უნგრეთის წარმომადგენლებს. გამართლდება თუ არა ეს გარაუდი, ჩემპიონატის ბოლო შეხვედრები გვიჩვენებს.

პირველმა შეხვედრებმა უკვე დაამტკიცა, რომ მონაწილეები კარგად მომზადებულან ასპარეზობისთვის, ბრძოლები მიმდინარეობს მაღალი ტემპით, საინტერესოდ. სტარტზე წარმატებით გამოვიდნენ მასპინძლები — კუბელი მოკრივეები. სამხრეთ ამერიკის თამაშების ჩემპიონმა 48 კგ წონითს კატეგორიაში ხ. ერნანდესმა დიდი უპირატესობით მოუგო ამერიკელ ა. სანდოვალს, მეორე კუბელმა სპორტსმენმა გარბეიმ (71 კგ) ნოკაუტით გაიმარჯვა ჩეხოსლოვაკიელ მეტოქესთან. უნგრელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა დ. გედომ (48 კგ) დაამარცხა გვიანის წარმომადგენელი რ. ბესტი.

პირველ დღეს საბჭოთა სპორტსმენთაგან რინგზე გამოვიდა მხოლოდ ა. კლიმანოვი, ევროპის ჩემპიონი 71 კგ წონაში. მისი მეტოქე იყო იამაიკელი ჩ. ბენტონი, ბრძოლა შეუპოვარი იყო, მაგრამ მაინც იგრძნობოდა ევროპის ჩემპიონის უპირატესობა, რომელსაც მსაჯებმა გამარჯვება მიაკუთვნეს.

* * *

სურათზე: ასეთია საერთო ხედი ჰავანის „კოლიზეის" სპორტის სასახლისა, სადაც დაიწყო მოკრივეთა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი. ამ სასახლის კედლებში უკვე უასპარეზიათ პლანეტის უძლიერეს სპორტსმენებს, სხვა სახეობათა წარმომადგენლებს — მოფარიკავეებს, მხატვრული ტანვარჯიშის ოსტატებს. ახლა კი მის თაღებს ქვეშ გონგის ხმაც გაისმა...

# ოლიმპიური ჩემპიონის წარმატება

მოსკოვი, 18 აგვისტო. დღეს აქ დამთავრდა აშშ-ს, იაპონიის, კუბისა და სსრ კავშირის ფრენბურთელთა ნაკრები გუნდების ტურნირი. გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ სსრ კავშირისა და იაპონიის სპორტსმენები. მანამდე საბჭოთა სპორტსმენებმა სძლიეს აშშ-სა (3:0) და კუბის (3:0) გუნდებს. იაპონელებმა დაძაბულ ბრძოლაში ძლივს მოუგეს კუბელებს (3:2), ხოლო ოკეანისგაღმელ ფრენბურთელებთან მხოლოდ ერთი პარტია წააგეს (3:1).

ძალიან საინტერესო გამოდგა მატჩი პირველი ადგილისთვის. უკეთ ითამაშეს „ამომავალი მზის ქვეყნის" სპორტსმენებმა, მათ შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 3:2 და ტურნირში გამარჯვებაც დაისაკუთრეს. III ადგილისთვის ასპარეზობაში კუბის ნაკრებმა სძლია აშშ-ს გუნდს — 3:0.

* * *

სურათზე: მოსკოვის ფრენბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. თამაშობენ სსრ კავშირისა და აშშ-ს გუნდები.

ა. ფიოდოროვის ფოტო.

# ყველა ჯილდო — საბჭოთა ჩოგბურთელებს

ჩოგბურთელთა მოსკოვის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში პირველი ადგილები ყველა თანრიგში მასპინძლებს ხვდათ წილად. შაბათს გამოვლინდნენ გამარჯვებულები წყვილთა შეჯიბრებაში. ქალთა წყვილების ფინალი „შინაური" იყო, ვინაიდან ერთმანეთს ხვდებოდნენ ო. მოროზოვა-მ. კროშინა და ნ. ბირიუკოვა-ე. გრანატუროვა. გაიმარჯვეს მოროზოვამ და კროშინამ — 6:4, 6:1.

ვაჟთა წყვილების ფინალშიც საბჭოთა სპორტსმენები ხვდებოდნენ ერთმანეთს: ვ. კოროტკოვი—თ. კაკულია და ვ. ბოგომოლოვი—ნ. ბუგაევი. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს პირველებმა — 6:4, 6:4, 3:6, 1:6, 6:3.

ვაჟთა ერთეულების ფინალში სარბიელზე გამოვიდნენ თბილისელები ა. მეტრეველი და კაკულია. გაიმარჯვა მეტრეველმა — 7:6, 6:1, 6:3. ქალთა ერთეულების ფინალში კიეველმა მ. კროშინამ დაამარცხა მოსკოველი მ. ჩუვირინა — 6:3, 6:2.

სენსაციური იყო შერეული წყვილების ფინალური შეჯიბრების შედეგი: ევროპის ჩემპიონებმა და უიმბლდონის ტურნირის ორგზის ფინალისტებმა მეტრეველმა და მოროზოვამ ფინალში წააგეს კიეველ ზ. ბაკშეევასთან და როსტოველ ე. ბობოედოვთან — 5:7, 4:6.

საბჭოთა ჩოგბურთელების გარდა შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, პოლონეთისა და აშშ-ს წარმომადგენლები. მათგან საუკეთესონი იყვნენ ამერიკელი ქ. ულტსი, რომელიც ნახევარფინალამდე მივიდა და ჩეხოსლოვაკიელი მ. გიბლეროვა, რომელმაც მეოთხედფინალში ითამაშა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპორტული ბანაკის ერთი დღე

## ასე „იწყება“ მძლეოსნობა





საქართველოს პროფსაბჭოს ბავშვთა და ჭაბუკთა მძლეოსნობის სპეციალიზებული სკოლა ზაფხულის პერიოდში ყოველწლიურად სამ სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკს ხსნის ნორჩებისთვის—ბაკურიანში, ბიჭვინთასა და ჩაისუბანში. მათგან ყველაზე პოპულარულია ჩაისუბნის ბანაკი. ეს გასაგებიცაა. ბანაკი აჭარის ერთ-ერთულამაზეს კუთხეშია გაშლილი. იქვე მდინარე ჩაქვისწყალი ჩამოდის. ზღვის ჰაერი და რბილი სუბტროპიკული ჰავა საუცხოო პირობებს ქმნის წვრთნისა და დასვენებისთვის.

ამ ზაფხულში ბანაკში ორ ნაკადად დაისვენა 350-მდე ნორჩმა სპორტსმენმა. აქ ჩამოვიდნენ ბავშვები არა მარტო თბილისიდან, არამედ რუსთავიდან, გორიდან, მუხრანიდან, ქუთაისიდან და სხვა ქალაქებიდან, სადაც სკოლის ფილიალებია გახსნილი.

კიდევ რა თავისებურებით გამოირჩევა ჩაისუბნის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკი? პირველ ყოვლისა იმით, რომ აქ კარგადაა ორგანიზებული არა მარტო საწვრთნელი პროცესი, არამედ ბავშვების დასვენებაც. პედაგოგიური კოლექტივი დირექტორ ვ. ყურშუბიძის, მისი მოადგილის გ. ხიდეშელის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელების გ. მაიერისა და ვ. სუხოტინის, ახალგაზრდა ენერგიული მწვრთნელების შ. ხვთისიაშვილის, მ. და ხ. შჩოგოლევების, ი. ზულის, გ. შაყულაშვილისა და სხვების შემადგენლობით ითვალისწინებს ბავშვების არა მარტო სპორტულ მაჩვენებლებს, არამედ მათს აქტიურობასაც მხატვრულ თვითმოქმედებაში, საზოგადოებრივ საქმიანობაში. ბავშვები ისევე სერიოზულად ემზადებიან საანგარიშო კონცერტებისთვის, როგორც სპორტული შეჯიბრებებისთვის. შეჯიბრება კი ბევრი აქვთ: „სპრინტერის დღე“, „მტყორცნელის დღე“, „მხტომელის დღე“, ასპარეზობა პიონერულ ოთხჭიდში, კროსი მშდ კომპლექსის პროგრამით, ტურისტული ლაშქრობები. ისევე როგორც საუკეთესო მორბენლებს, მხტომელებს, მტყორცნელებს, სიგელებით აჯილდოებენ კარგ მომღერლებს, მოცეკვავეებსა და დეკლამატორებსაც. ერთი სიტყვით, აქ სრულად ხორციელდება ნორჩების ყოველმხრივი აღზრდის პრინციპი. დამახასიათებელია, რომ იმ ბავშვებმა, რომლებიც სპორტულ შეჯიბრებებში პირველნი იყვნენ, თვითმოქმედებაშიც გამოიჩინეს თავი. ესენი იყვნენ: მ. კერვალიშვილი, გ. ებილაშვილი, ბ. აფაქიძე, ს. მარტიროსოვი, მ. ლაზარიშვილი, ლ. გიაგიაევა, ც. ქებაძე, ა. ბუდალოვა, ვ. ამირაგოვა, ი. ოზბეგაშვილი, ი. კრასოვი, თ. გოჩაშვილი...

რამდენიმე დღეში ახალი სასწავლო წელი იწყება. გაკვეთილების შემდეგ სპორტული დარბაზებისკენ მიმავალ ბავშვებს ბევრჯერ გაახსენდებათ ჩაისუბნის ბანაკი, სადაც ჯანი გაიკაჟეს, უფრო ამტანები, სწრაფები, მოქნილები გახდნენ.

**ბ. ქვათაძე,**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**

• • •

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე:** დილის ვარჯიში; თევზაობა; მწვრთნელი შ. ხვთისიაშვილი მეცადინეობას ატარებს ნორჩ შუბის მტყორცნელებთან; ადგილიდან ხტომაში შეჯიბრების მომენტი. მარცხნივ — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ვ. სუხოტინი.

ავტორის ფოტოები.





# ბაკურიანს მეტი ყურადღება სჭირდება!

ბოლო წლებში დაბა ბაკურიანში ბევრი ნაგებობა აშენდა — სასტუმრო, ტურისტული ბაზები, სანატორიუმები, სპორტული ბაზები. გარკვეული მუშაობა ჩატარდა კურორტის კეთილმოწყობისთვის.

როგორც ცნობილია, ბაკურიანში საუცხოო ბუნებრივი პირობებია სპორტის ზამთრის სახეობათა განვითარებისთვის. მაგრამ, ცხადია, დიდი მასშტაბის სპორტულ შეჯიბრებათა ჩასატარებლად მარტო ბუნებრივი პირობები არ კმარა. ამიტომაც გადაწყდა ბაკურიანის განაშენიანება საერთაშორისო მოთხოვნათა დონეზე. გამოიყო საჭირო თანხაც, მაგრამ რა გამოვიდა. ჯერ ერთი, შენობათა არქიტექტურული გადაწყვეტა „ნასესხები“ ფორმებით სრულიადაც ვერ აკმაყოფილებს ესთეტიკურ მოთხოვნებს. ამას გარდა, ნაცვლად იმისა, რომ მშენებლობა გაშლილიყო ტერასულად, ადგილობრივი ლანდშაფტის სპეციფიკის მაქსიმალური გათვალისწინებით და მიწის ზედაპირის მწვანე სამოსის მოხსნის ფართობის მინიმუმამდე დაყვანით, ფაქტიურად თითოეული ნაგებობის აშენებას დასჭირდა დიდი მოცულობის ვერტიკალური მოშანდაკების სამუშაოები, ამ შენობათა ირგვლივ მწვანე სამოსის მოხსნა დიდ ფართობებზე. ამან, გარდა იმისა, რომ მშენებლობა გააძვირა, შექმნა მთელი რიგი უხერხულობანი ახალ შენობათა ექსპლუატაციის საკითხში, უარყოფითად იმოქმედა ბაკურიანის საერთო ხედზე.

და მაინც, ყველაზე ცუდი, რაც ბაკურიანში თვალს ხვდება, ანტისანიტარიაა. პატარა მთის მდინარე, რომელიც ბაკურიანს შუაში ჩაუდის, საშინელ სიბინძურის კერად არის ქცეული. ანტისანიტარია არც დასვენების პარკს აკლია. აქ საქონლის შესვლას არაფერი უშლის ხელს. სუფთა ადგილს ვერც კი ნახავთ, რომ მოლზე დაჯდეთ და დაისვენოთ (სკამები პარკში საერთოდ არ არის).

სავალალო მდგომარეობაშია როგორც მისასვლელი გზა, ისე თვით დაბის ქუჩები. ცენტრალურ მოედანს და ქუჩას რკინიგზის სადგურიდან ამ მოედნამდე ასფალტის საფარველი დღემდე არ ღირსებია და ისეთივე მდგომარეობაშია, როგორშიც ამ 20—30 წლის წინათ იყო.

ბაკურიანს დღემდე არ გააჩნია შესაფერისი შენობები სასადილოს, ბიბლიოთეკის, საავადმყოფოს, პოლიკლინიკისა და აბანო-სამრეცხაოსთვის. დაბაში არ არის კანალიზაცია. იგრძნობა სასმელი წყლის ნაკლებობა. მალე ერთი წელი შესრულდება, რაც მიტოვებულია ბაკურიანისთვის ესოდენ საჭირო — ბენზინის სავაჭრო წერტის მშენებლობა.

ზედმეტი არ იქნება, თუ დამსვენებელთა და სპორტსმენთა უკეთ მომსახურების მიზნით შევისწავლით თბილისიდან ბაკურიანამდე ავიატრანსპორტის დანიშვნის შესაძლებლობას.

ბაკურიანში წინა წლებში აშენებულ სპორტულ ნაგებობებს უხარისხობის დაღი აზის. სამონტაჟო ორგანიზაციების ნამუშევრის ნაწილი წუნია. დიდი ტრამპლინისკენ მიმავალი საბაგირო გზის საყრდენების საძირკვლები ბევრ ადგილას გამორეცხილია, ლითონის ნაწილის ჩამაგრება ბეტონის საძირკველში არასრულყოფილია, ლითონის კონსტრუქციები ყველგან არ არის შეღებილი კოროზიისგან დასაცავად. ასევე ძალიან უხარისხოდაა შესრულებული სამონტაჟო სამუშაოები ხელოვნურ საციგაო ტრასაზე. აქ ლამპიონების უმეტესობა უკვე წაქცეულია, ნაწილი არასაიმედოდაა ჩამაგრებული საძირკველში, ბეტონის საძირკვლები ზედაპირული წყლებისგან გამორეცხილია, ელექტროკაბელები მიწაზე ყრია და ფუჭდება. წყლის სადენი პროექტისა და ტექნიკური პირობების უხეში დარღვევითაა გაკეთებული. ნაგებობის ხის კონსტრუქციების გრუნტზე დაყრდნობის ადგილებში ჰიდროიზოლაცია უხარისხოდაა. არ არის შესრულებული ანტისეპტირება. ამ გზაზე ბევრი დაუმთავრებელი სამუშაოა, მემონტაჟეებს კი მთელი ზაფხულის განმავლობაში არ უმუშავიათ.

ბაკურიანი ჩვენი რესპუბლიკის მშვენებაა. იგი უნდა იქცეს მშრომელთა მასობრივი დასვენებისა, ზამთრის სპორტულ სახეობათა განვითარების მძლავრ კერად.

**რ. ტყემალაძე,**
**საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის ინსპექტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.**

# ბოლო არ უჩანს...

საჩხერეში არსებული ფეხბურთის სათამაშო მინდორი მრავალი წლის ექსპლუატაციის გამო თანდათან გამოვიდა მწყობრიდან და რაიონის ხელმძღვანელობა დადგა აუცილებლობის წინაშე მოეწყო შესაფერისი, ყოველმხრივ მოწყობილი მოედანი.

განზრახვის სისრულეში მოსაყვანად გადაიდგა საჭირო ნაბიჯი: მდინარე ყვირილის მარცხენა სანაპიროზე არსებულ კომკავშირის ხეივანში 1971 წელს გამოიყო ადგილი, საჩხერის საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო ორგანიზაციის საბჭოს (თავმჯდომარე ქ. თურმანიძე) დაევალა ფეხბურთის მოედნისთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის მოსწორება ბულდოზერით. შემდეგ, 1972 წელს, მოსკოვიდან საგანგებოდ მოიწვიეს ცნობილი სპეციალისტი, მეცნიერ-მუშაკი გ. აბრამიშვილი, რომელიც სათავეში ჩაუდგა მინდვრის სათანადოდ მომზადების საქმეს. 4 თვის განმავლობაში აწარმოებდნენ საზოგადოებრიობის ძალებით საჭირო სამუშაოებს, გამოჰყავდათ წარმოება-დაწესებულებების, სკოლების კოლექტივები და ერთი წლის შემდეგ სათამაშო მინდორი მზად იყო. საჩხერის საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო ორგანიზაციის საბჭომ, მისმა თავმჯდომარემ კ. თურმანიძემ პირნათლად შეასრულეს თავიანთი მოვალეობა. ახლა 8 ათას კვადრატულ მეტრზე განლაგებული მწვანე მინდორი მავთულის ბადითაა შემოღობილი და უკვე წელიწადია რაც სპეციალური, შტატიანი მომვლელი ჰყავს. ბალახი ითიბება, ირწყვება.

მაგრამ შარშანდელი შემოდგომიდან მოყოლებული ...არა და არ გაკეთდა სარბენი ბილიკები, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, გასახდელები, მაყურებელთა დასაჯდომი ტრიბუნები.

ერთი სიტყვით, კარგად დაწყებულ საქმეს კარგი დაბოლოება ესაჭიროება და ყველას ერთი სურვილი გვაქვს: სპორტული ბაზის კეთილმოწყობის საქმე აღარ გადაიდოს სამერმისოდ.

**ა. ანასაშვილი.**
**(ჩვენი კორ.).**

საჩხერე.

## რაიონებიდან სტრიქონები

### ✦ ცხინვალი

ჩატარდა ქალაქის თასის გათამაშება ფეხბურთში, რომელშიც ხუთი ფიზკულტურული კოლექტივი მონაწილეობდა. გაიმარჯვა ავტობუსების შემკეთებელი ქარხნის გუნდმა. ტურნირში მონაწილეობა სხვა კოლექტივებსაც სურდათ, მაგრამ, სამწუხაროდ, სპორტკომიტეტმა დროულად არ გაუგზავნა მათ შეჯიბრების დებულება. ჩვენი აზრით, ასეთი ღონისძიების ჩატარებას ფასი არა აქვს. ამ გზით მასობრიობას ვერ მივაღწევთ.

• • •

საჭადრაკო კლუბში ჩატარდა საქალაქო ჩემპიონატი. შეჯიბრებაში, რომელიც შვეიცარიული სისტემით ჩატარდა, 22 მოჭადრაკე მონაწილეობდა. ჩემპიონის სახელი მ. ჯიჯოევმა დაისაკუთრა. მეორე იყო რ. გუჩმაზოვი, ხოლო მესამე — ი. სანაკოევი.

• • •

პედაგოგიური ინსტიტუტის ხელოვნების მოყვარულ სტუდენტთა კლუბმა „აპოლონმა“ მოაწყო საინტერესო ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით: ცხინვალი — კობეთი — ზარამაგი — დიგორა — მაცუტა — ცისფერი ტბა—ნალჩიკი და უკან. ტურისტებმა დაათვალიერეს ისტორიული ადგილები, ძეგლები, იყვნენ ოსი პოეტის კოსტა ხეთაგუროვის სახლ-მუზეუმში. ლაშქრობას ხელმძღვანელობდა ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი თ. შავლოხოვა.

**ვ. მელქოევი.**
**(ჩვენი კორ.).**

### ✦ ხაშური

ამ დღეებში სურამის მინის ტარის ქარხნის ფიზკულტურელებმა კარგი საჩუქარი მიიღეს: მწყობრში ჩადგა რეკონსტრუირებული საჭიდაო დარბაზი. ამ დარბაზში ჩატარდა ძიუდოისტთა შეჯიბრება. ტურნირი ქარხნის სპორტსმენებმა მოიგეს.

**ზ. მოსეშვილი.**

# ფიზკულტურელის დღეს მიეძღვნა

სამხრეთ ოსეთის სპორტულ ბაზებზე ფიზკულტურელის დღის აღსანიშნავად ჩატარდა მასობრივი შეჯიბრებები. ქალაქის სტადიონზე მოეწყო ასპარეზობა მრავალჭიდში მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად. სტარტზე გამოვიდა ცხინვალის, ზნაურის, ლენინგორისა და ცხინვალის რაიონების 200-მდე მუშა-მოსამსახურე, მოსწავლე და სტუდენტი. მათგან ნორმატივები ნახევარზე მეტმა ჩააბარა.

შემდეგ მოედანზე გამოვიდნენ ფეხბურთელები. სამკერვალო ფაბრიკის გუნდმა ანგარიშით 5:2 დაამარცხა ხე-ტყის კომბინატის წარმომადგენლები. ერედვის გუნდმა მოუგო დმენისელებს — 4:2.

ფრენბურთში ერთმანეთს შეხვდნენ გრომისა და არცევის გუნდები. ანგარიშით 3:1 გაიმარჯვეს გრომელებმა.

დიდძალი მაყურებელი დაესწრო კეხვში ქართულ ჭიდაობას, რომელშიც მეზობელი სოფლების წარგზავნილებიც მონაწილეობდნენ. აქ ფეხბურთის მინდორზე გამოვიდნენ თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებიც, რომლებიც საწარმოო პრაქტიკაზე არიან ცხინვალის რაიონის ხეითის მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობაზე. მომავალმა ფიზკულტურის სპეციალისტებმა ამხანაგური მატჩი გამართეს ცხინვალის ახალგაზრდულ ნაკრებთან და გაიმარჯვეს ანგარიშით — 3:1.

**მ. ვალიევი.**

# ფეხბურთი

## სსრ კავშირის პირველობა

### I ლიგა

**გათამაშების ცხრილი**

დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 20 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ (როსტ.) | 24 | 13 | 6 | 5 | 54—23 | 32 |
| „კრ. სოვ." | 24 | 12 | 8 | 4 | 28—13 | 32 |
| „ლოკომ." | 23 | 12 | 4 | 7 | 28—20 | 28 |
| „დინამო" | 23 | 11 | 5 | 7 | 30—24 | 27 |
| „ტექსტილ." | 22 | 11 | 4 | 7 | 33—20 | 26 |
| „პამირი" | 21 | 11 | 4 | 6 | 34—23 | 26 |
| „მეტ." (ლ.) | 23 | 9 | 8 | 6 | 34—28 | 26 |
| „ნეფთჩი" | 24 | 9 | 8 | 7 | 30—29 | 26 |
| „შინიკი" | 22 | 9 | 7 | 6 | 39—31 | 25 |
| „მეტ." (ზ.) | 22 | 8 | 7 | 7 | 29—32 | 23 |
| „სპარტაკი" (ი.-ფრ.) | 24 | 9 | 5 | 10 | 25—28 | 23 |
| „კუზბასი" | 23 | 8 | 6 | 9 | 27—27 | 22 |
| „ურალმაში" | 24 | 7 | 8 | 9 | 28—32 | 22 |
| „ზვეზდა" | 23 | 9 | 4 | 10 | 33—39 | 22 |
| „ტავრია" | 23 | 6 | 8 | 9 | 22—26 | 20 |
| „ყუბანი" | 24 | 7 | 5 | 12 | 26—31 | 19 |
| „სპარტაკი" (ორ.) | 24 | 5 | 9 | 10 | 19—28 | 19 |
| „სტროიტ." | 24 | 7 | 5 | 12 | 23—33 | 19 |
| „სპარ." (ნ.) | 24 | 3 | 11 | 10 | 21—44 | 17 |
| „ტორპ." | 24 | 3 | 5 | 16 | 21—53 | 11 |

### უმაღლესი ლიგა

**გათამაშების ცხრილი**

დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 19 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინ." (კ.) | 18 | 11 | 5 | 2 | 26—12 | 27 |
| „დინ." (მ.) | 17 | 10 | 5 | 2 | 32—14 | 25 |
| „ზენიტი" | 18 | 9 | 5 | 4 | 34—22 | 23 |
| „სპარტაკი" | 18 | 10 | 2 | 6 | 23—17 | 22 |
| „ჩერნ." | 18 | 8 | 5 | 5 | 40—29 | 21 |
| „ქაირათი" | 17 | 8 | 5 | 4 | 19—17 | 21 |
| „შახტიორი" | 18 | 8 | 3 | 7 | 26—17 | 19 |
| „ტორპედო" | 18 | 5 | 9 | 4 | 21—15 | 19 |
| „ფახთაქ." | 18 | 6 | 7 | 5 | 26—28 | 19 |
| „ნისტრუ" | 18 | 6 | 4 | 8 | 33—38 | 16 |
| „არარატი" | 18 | 3 | 9 | 6 | 19—25 | 15 |
| „დინამო" (თბილისი) | 18 | 5 | 5 | 8 | 19—28 | 15 |
| ცსკა | 18 | 4 | 6 | 8 | 22—26 | 14 |
| „კარპატი" | 18 | 4 | 4 | 10 | 14—28 | 12 |
| „დნეპრი" | 18 | 1 | 8 | 9 | 11—28 | 10 |
| „ზარია" | 18 | 1 | 6 | 11 | 11—34 | 8 |

## თასი სამუდამოდ — ლუმურიშელებს

ამას წინათ გაიმართა გალის „კოლმეურნის" რაისაბჭოს პირველობა ცხენოსნობაში სოფლის სპორტსმენთა II თამაშების პროგრამით.

წარმატებით იასპარეზეს ლუმურიშის ფარფალიას სახელობის კოლმეურნეობის წარმომადგენლებმა, რომლებსაც სათავეში უდგათ ვეტერანი ცხენოსანი ქ. ზუხბაია. ეს ამ გუნდის ზედიზედ მესამე გამარჯვებაა და ამიტომ თასიც მისი სამუდამო საკუთრება გახდა. გამარჯვებულებს 2 ქულით ჩამორჩნენ ოქუმელი სპორტსმენები.

ლუმურიშელმა მხედრებმა ა. დანელიამ, ვ. დანელიამ, ზ. გერგაიამ მოიგეს ყველა დოღი, სხვა ცხენოსნებმაც დიდი მონდომებით იბრძოლეს საერთო გამარჯვებისთვის.

შეჯიბრების დახურვის წინ გაიმართა საჩვენებელი გამოსვლა მოქნევაში, სადაც ყველას აჯობა ქ. ზუხბაიამ.

ვ. მიქაია,
„განთიადის" რაისაბჭოს თავმჯდომარე.

• • •



ს უ რ ა თ ზ ე: ლუმურიშელთა გუნდის თავი ქ. ზუხბაია თასით ხელში.

ლ. შენგელიას ფოტო.

## დარჩა 3 ტური

მანილაში (ფილიპინები) გრძელდება მოჭადრაკე ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატი. გაიმართა კიდევ ორი ტური. V ტურში ლ.-ა. შნაიდერმა (შვეცია) წააგო რ. დიეკსთან (ჰოლანდია), ჯ.-დ. მაილსმა (ინგლისი) — ს. მარიანოვიჩთან (იუგოსლავია). ა. კოჩიევ — პ. უინსტონისა (აშშ) და პ. მაკ (გფრ) — ჟ. სუნიენეტოს (ბრაზილია) შეხვედრები ყაიმით დამთავრდა. VI ტურში კოჩიევმა მე-40 სვლაზე წააგო შნაიდერთან. უინსტონი დამარცხდა მაილსთან, მარიანოვიჩი — მაკთან. დიეკსმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ს. გიარდელისთან (არგენტინა), ხოლო სუნიე-ნეტომ — რ. ხენაოსთან (კოლუმბია). მანამდე ხენაომ წააგო გადადებული პარტია გიარდელისთან. ამრიგად, ექვსი ტურის შემდეგ შეჯიბრებას სამი ლიდერი ჰყავს: შნაიდერი, მაილსი და დიეკსი — 4,5 ქულა თითოეულს. კოჩიევს 4 ქულა აქვს. სათამაშო დარჩა კიდევ სამი ტური. VII ტურში ერთმანეთს ხვდებიან ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლები — მაილსი და შნაიდერი.

• •

## დღეს იწყება

დღეს მოსკოვში იწყება სსრ კავშირის თასის გათამაშება ჭადრაკში. შეჯიბრებაში მონაწილეობენ „ბურევესტნიკის", ცსკა-ს, „ავანგარდის", „სპარტაკის", „ლოკომოტივის" „ტრუდის", „მოლდოვას", „ზენიტის", „დაუგავასა" და „დინამოს" გუნდები. თითოეულ გუნდში 9 ძირითადი და ერთი სათადარიგო მოჭადრაკეა (5 ვაჟი, 2 ქალი, თითო ჭაბუკი და გოგონა). 19 დიდოსტატს შორის არიან მსოფლიოს ექს-ჩემპიონები ბ. სპასკი, ტ. პეტროსიანი, მ. ტალი და ვ. სმისლოვი.

## ესპანეთს მიემგზავრებიან

ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად 25 აგვისტოს ესპანეთის ქალაქ ლა-პალმასში მიემგზავრებიან თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები — „კოლუმბის" თასის შარშანდელი მფლობელები.

დელეგაციის ხელმძღვანელია სპორტსაზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. გვახარია.

# კრავცოვი თუ მორელონი? — არც ერთი და არც მეორე

ფრანგი პოლიციელი დანიელ მორელონი მონრეალში ჩავიდა, როგორც ფავორიტი. მას ყველა მეტოქეზე მეტი მორალური უფლება ჰქონდა, რომ მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალზე ეფიქრა.

რამდენჯერ ფლობდა იგი უძლიერესი სპრინტერის ტიტულს? ორჯერ? ოთხჯერ? მორელონის საოჯახო კოლექციაში მსოფლიოს და ოლიმპიური ჩემპიონის ათამდე ოქროს მედალი ინახება. აი, რატომ უწოდებენ მას მსოფლიოში ყველაზე პოპულარულ პოლიციელს.

ბოლო 10 წლის მანძილზე მორელონს არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ტურნირი არ წაუგია. მისი დამხობის სურვილი კი ბევრს ჰქონდა, მათ შორის ჩვენს სახელოვან თანამემამულეს ომარ ფხაკაძეს, მაგრამ მორელონი მიუვალ ციხესიმაგრესავით იდგა და ყველა პრეტენდენტს უმოწყალოდ უსწორდებოდა.

გავიდა წლები და, როგორც ჩანს, უძრებელი ჩემპიონის ოსტატობას სადღაც ბზარი გაუჩნდა, მხოლოდ ამით თუ ავხსნით იმ ფაქტს, რომ მონრეალის მსოფლიო ჩემპიონატში ცნობილი ფრანგი პოლიციელი ადრევე გამოეთიშა ოქროს მედლისთვის ბრძოლას. მაგრამ მისი დამარცხებაც საპატიოა და ველოსიპედისტის ოსტატობის უმაღლეს საზომად უნდა მივიჩნიოთ. სასიხარულოა, რომ ეს ნაბიჯი ცნობილმა საბჭოთა სპრინტერმა, ხარკოველმა სერგეი კრავცოვმა გადადგა. მან გააქარწყლა მითი მორელონის უძლეველობის შესახებ. მან დატოვა მსოფლიო სპრინტის ტახტი უპატრონოდ. კრავცოვს თამამად შეეძლო დაპატრონებოდა გვირგვინს. მაშინ იგი საბჭოთა სპრინტის ისტორიაში მეორე მსოფლიო ჩემპიონი იქნებოდა ომარ ფხაკაძის შემდეგ. მაგრამ კრავცოვს, რომელსაც ეკუთვნოდა ყველაზე დიდი გამარჯვება და სენსაცია, ბოლო ბრძოლაში ნერვებმა უღალატა. მორელონის მძლეველმა ოქროს მედალი ნაკლებად ცნობილ ჩეხოსლოვაკიელთან ანტონი ტკაჩთან წააგო და კიდევ ერთი წლით გადადო ფიქრი მთავარი ნატვრის ასრულებაზე.

მოულოდნელობის მეხი მეოთხედფინალში გავარდა. კრავცოვი იმედის სერიიდან იყო მოსული და მის გამარჯვებაზე, ცხადია, არავინ ფიქრობდა, მაგრამ საბჭოთა სპრინტერმა დამაჯერებლად მოიგო პირველი ცდა (ბოლო 200 მეტრზე 11,39 აჩვენა), მეორეში კი მისი უპირატესობა ფოტოფინიშმა დაადგინა (11,32).

მეორე საბჭოთა სპრინტერმა ა. იაბლუნოვსკიმ სამი ცდიდან ორი მოუგო გდრ-ის წარმომადგენელს პ. ეიკშტადტს. იტალიის ჩემპიონმა გ. როსიმ დაამარცხა გდრ-ის პირველი სპრინტერი ი. გეშკე, ხოლო ა. ტკაჩმა — მსოფლიოს მომავალმა ჩემპიონმა — იტალიელი ე. მარინო.

მერე ნახევარფინალები დაიწყო. კრავცოვი ამჯერადაც მოწოდების სიმაღლეზე იდგა. მან ორივეჯერ ადვილად მოუგო როსის (11,70 და 11,44), უფრო დრამატული გამოდგა იაბლუნოვსკისა და ტკაჩის ბრძოლა. პირველ ცდაში გაიმარჯვა საბჭოთა სპრინტერმა (11,87), მეორეში — ჩეხოსლოვაკიელმა (11,66). დაინიშნა მესამე, დამატებითი სერია, რომელიც იაბლუნოვსკისთვის უიღბლო გამოდგა — ბოლო ვირაჟზე იგი დაეცა.

ფინალში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უპირატესობა ტკაჩის მხარეს იყო. ოქროს მედალიც სწორედ მას დარჩა. კრავცოვმა ვერცხლის ჯილდო მიიღო.

სამაგიეროდ, საბჭოთა ველოსიპედისტების უპირატესობა აშკარა იყო ქალთა სპრინტში. ჩემპიონი გახდა თ. პილშჩიკოვა, ხოლო მ. ცარიოვა III ადგილზე გავიდა. ვერცხლის ჯილდო ამერიკელმა ს. ნოვარამ დაიმსახურა.

გათამაშდა მედლების კიდევ ერთი კომპლექტი გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში 4 კილომეტრზე ვაჟთა შორის. ოქროს მედალი ჰ. ლუტცმა (გფრ) დაისაკუთრა — 4.52.72. II ადგილზე გავიდა ო. პიცოფერატო (იტალია) — 4.54.24, III — ტ. ჰუშკე (გდრ).

შარშან მსოფლიო პირველობა ველოსპორტის ამ სახეობაში ნორვეგიელმა კ. კნუდსენმა მოიგო. მერე იგი პროფესიონალებში გადავიდა და აი, ახლა ძალა სცადა მონრეალის ტრეკზე. მაგრამ პროფესიონალები, მოყვარულებისგან განსხვავებით, 5-კილომეტრიან დისტანციაზე ასპარეზობენ. კნუდსენი ამჟამადაც უძლიერესი იყო — 5.59,12.

ქალთა შორის გამოდევნებით რბოლაში ოქროს მედალი ჯერ არ გათამაშებულა, მაგრამ წინასწარი სერიების მიხედვით თამამად შეიძლება ფავორიტის დასახელება. ესაა საბჭოთა ველოსიპედისტი თ. გარკუშინა, რომელმაც ერთ-ერთ ცდაზე მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა — 3.52,50. სამწუხაროდ, რეკორდმა ოფიციალური სახე ვერ მიიღო, ვინაიდან დისტანცია სტანდარტულზე 3 მილიმეტრით მოკლე აღმოჩნდა.

## ჩვენი ლოზუნგი — მასობრიობა

# მშდ-ს კომპლექსის ნაბიჯები

### შეჯიბრების პრიზიორი... 60 წლისაა

ტაჯიკეთის ფიზკულტურელთა პირველი თაობა კარგად იცნობს დუშანბეს პოლიტექნიკუმის დირექტორის მოადგილეს ვ. გაზიზოვს. თავის დროზე იგი რესპუბლიკაში ფიზკულტურული მოძრაობის ერთ-ერთი თაოსანი იყო, პირველი მშდ კომპლექსის ყველა საფეხურის სამკერდე ნიშნების მფლობელი. ახლა იგი 60 წლისაა, მაგრამ ფარ-ხმალი არ დაუყრია. გაზიზოვმა არა მარტო ოქროს სამკერდე ნიშანზე ჩააბარა ახალი კომპლექსის ნორმატივები, არამედ ამ კომპლექსის მრავალჭიდში გაზეთ „კომსომოლეც ტაჯიკისტანის" პრიზზე გამართულ რესპუბლიკურ ჩემპიონატშიც მიიღო მონაწილეობა თავის ასაკობრივ ჯგუფში (სამასი მრავალჭიდელი რვა ასაკობრივ ჯგუფში იყო დანაწილებული). გაზიზოვი პირველობის პრიზიორი გახდა.

სტარტზე თავის 12 წლის ქალიშვილთან ერთად გამოვიდა ლენინაბადელი ვეტერანი მ. კარპოვი. მათაც საპრიზო ადგილები დაიკავეს.

ამჟამად რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში მშდ კომპლექსში 400 ათასზე მეტი ადამიანია ჩაბმული. მათგან ბევრი უკვე ნიშნოსანი გახდა.

— მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში მოსახლეობის მასობრივად ჩაბმა სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის მზადების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილად მიგვაჩნია, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს რესპუბლიკის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ მ. სადულაევმა. — ვცდილობთ საქმე ისე დავაყენოთ, რომ შეჯიბრებები ახალი კომპლექსის პროგრამით ჩატარდეს არა მარტო ფიზკულტურის კოლექტივებში, საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და სასწავლებლებში, არამედ პირდაპირ ეზოს მოედნებზეც. ეს კიდევ უფრო გაზრდის მშდ კომპლექსის თაყვანისმცემელთა არმიას.

ვ. დეინიჩენკო.
(საკდესის კორ.).

დუშანბე.

# მძლეოსნები ემზადებიან რომის სტარტებისთვის

ახლოვდება ევროპის მძლეოსანთა ჩემპიონატი, რომელიც სექტემბრის პირველ რიცხვებში გაიმართება იტალიის დედაქალაქში. ამჟამად გაცხოველებული მზადებაა ამ საინტერესო ლონისძიებისთვის. ეწყობა სამატჩო შეხვედრები, ქვეყნების პირველობები, საერთაშორისო შეხვედრები. ერთი ასეთი შეჯიბრება გაიმართა შვეიცარიის ქალაქ ციურიხში, სადაც ერთმანეთის ძალას ცდიდნენ აშშ-ს, გფრ-ის, დიდი ბრიტანეთის, იტალიის, პოლონეთისა და იუგოსლავიის წარმომადგენლები. ბევრ სახეობაში ნაჩვენები იქნა მაღალი შედეგები. იტალიელი მსოფლიო რეკორდსმენი 800 მეტრზე რბენაში მ. ფიასკონარო მხოლოდ მესამე მივიდა ფინიშთან — 1.47,9. მას აჯობეს კენიელმა მ. ბოიტუმ (1.44,18) და იუგოსლაველმა ლ. სუშანომ (1.44,67). 400 მეტრი ყველაზე სწრაფად გაირბინა დასავლეთგერმანელმა კ. ჰონცმა — 45,14.

ქალებში თავი გამოიჩინა პოლონელმა ი. შევინსკამ. იგი პირველი იყო 100 და 200 მეტრზე რბენაში, პირველი დისტანციის გავლას შევინსკამ 11,25 წამი მოანდომა, მეორისას — 22,41. 4×100 მ ესტაფეტებში როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის უძლიერესნი იყვნენ გფრ-ის სპორტსმენები. ქალებმა დისტანციის გავლას 43,07 წამი მოანდომეს, ვაჟებმა — 39,03. 400 მეტრზე თარჯრბენში პირველობა მოიპოვა ჯ. ბოლდინგმა — 48,75, 5 კილომეტრზე რბენაში გამარჯვებულმა დ. ბიურკლემ 13.31,14 აჩვენა, დ. ქვორიმ 200 მეტრის გარბენას 20,06 წამი მოანდომა, ა. ფეიერბახმა ბირთვი 21,34 მეტრზე ჰკრა, დ. სტოუნსმა (ხუთივე — აშშ) 225 სმ სიმაღლე გადალახა.

• • •

ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას მიეძღვნა მოსკოვში გამართული სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატ დინამოელთა შეჯიბრება. შუბის ტყორცნაში მაღალი შედეგი აჩვენა მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა ა. მაკაროვმა — 86,70. ლენინგრადელმა ა. ბარიშნიკოვმა ბირთვის კვრაში 20-მეტრიანი ზღვარი გადალახა — 20,60 მ. სიმაღლეზე ხტომაში იმარჯვა ვილნიუსელმა კ. შაპკამ — 218 სმ.

მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში

## აღმავლობის გზაზე

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის 25 წლის მანძილზე სპორტი ამ ქვეყანაში ჭეშმარიტად მასობრივ სახალხო მოძრაობად იქცა.

გდრ-ის სპორტსმენები ყველა დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაში სერიოზულ ძალას წარმოადგენენ. საკმარისია გავიხსენოთ მათი ტრიუმფი მიუნხენის XX ოლიმპიურ თამაშებში. იქ გდრ-ის ნაკრებმა არაოფიციალურ საერთო ჩათვლაში III ადგილი დაიკავა სსრ კავშირისა და აშშ-ს გუნდების შემდეგ, მოიპოვა 20 ოქროს, 23 ვერცხლისა და 23 ბრინჯაოს მედალი. განსაკუთრებით გამოირჩევიან გდრ-ის სპორტსმენები ისეთ მთავარ სახეობებში, როგორიცაა მძლეოსნობა (ამ სახეობაში მათ ბევრი მსოფლიო რეკორდი ეკუთვნით), ცურვაში (აქ ისინი უძლიერესნი არიან ევროპის კონტინენტზე, მსოფლიოში კი ალბათ მხოლოდ აშშ-ს მოცურავეებს ჩამოუვარდებიან), სპორტულ ტანვარჯიშში, მთელი მსოფლიო იცნობს „სპრინტის დედოფალს" რ. შტეჩერს, ტანმოვარჯიშე კ. იანცს, მოცურავეებს კ. ენდერს, გ. ვეცკეს და რ. მათესს, მსოფლიო ჩემპიონს ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში ჰ.-გ. აშენბახსა და სხვებს.

დღეს გდრ-ის სპორტულ საზოგადოებათა 114 წარმომადგენელი მონაწილეობს საერთაშორისო სპორტული ფედერაციების მუშაობაში. 1950 წელს რესპუბლიკის საჭადრაკო კლუბი ფიდე-ს წევრი გახდა.

შემდეგ საერთაშორისო ფედერაციებში გაერთიანდნენ რესპუბლიკის მოთხილამურეები, ფეხბურთელები და მოცურავეები. ეს იყო დასავლეთის გარკვეული წრეების მიერ შექმნილ დაბრკოლებათა გადალახვის რთული პროცესი. ამ წრეებს აშკარად არ მოსწონდათ ის ამბავი, რომ მუშათა და გლეხთა პირველი გერმანული სახელმწიფოს სპორტსმენებს საერთაშორისო სარბიელზე თავიანთი ეროვნული დროშით ხშირად გამოსვლა.

პროცესი ხანგრძლივი იყო. გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მხოლოდ 1965 წელს მოიპოვა საკუთარი ოლიმპიური გუნდის გამოყვანის უფლება.

საჭირო გახდა 17-წლიანი შეუპოვარი ბრძოლა საიმისოდ, რომ გდრ-ის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სრულუფლებიან წევრად მიეჩნიათ. მხოლოდ 1972 წელს საპოროს თეთრი ოლიმპიადის დროს პირველად აფრიალდა გდრ-ის სახელმწიფო ალამი და შესრულდა რესპუბლიკის ჰიმნი.

დღეს კი მუშათა და გლეხთა პირველი გერმანული სახელმწიფოს დიდი სპორტული ავტორიტეტი უდავოა. ამას ადასტურებს ის, რომ გდრ-ში ხშირად ტარდება ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები, დიდი საერთაშორისო შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

## ალექსანდრე სალნიკოვის „ოქროს დებიუტი"

კალათბურთის საზომით არც ისე მაღალია — „სულ" 197 სანტიმეტრი; თლილი, მგრძნობიარე თითები თითქოს არც შეეფერება დიდრონ, ღონიერ ხელებს; თავაზიანი, ცოტა დარცხვენილი ღიმილი იცის, — ასეთია 25 წლის ალექსანდრე სალნიკოვი — კიევის „სტროიტელის" მოთამაშე, პუერტო-რიკოს VII მსოფლიო ჩემპიონატის გმირი.

სამა შინ ვინახულეთ, სადაც იგი ამ ბოლო დროს იშვიათი სტუმარია. სამი წლის ალიოშკა წამითაც არ მოშორებია მამას, მერე დიდი გაჭირვებით მუხლებზე აფორთხდა და საიმედოდ მოიკალათა, რათა უკვე სახელგანთქმულ, მაგრამ ჟურნალისტებთან საუბარში ჯერ კიდევ ნაკლებად გამოცდილ კალათბურთელს „დახმარებოდა".

„მე დიდი სპორტული ბიოგრაფია არა მაქვს და ეს ჩემპიონატი, რა თქმა უნდა, ყველაზე დიდი მოვლენაა ჩემთვის, — ამბობს სალნიკოვი. — ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ტურნირის გახსნის დღეს, 3 ივლისს, იქ, „ქვეყნის ბოლოს", კარიბის ზღვაში მდებარე შორეულ კუნძულზე, თანაგუნდელებმა გულთბილად აღნიშნეს ჩემი დაბადების დღე. მე დიდი ხნის ჩარიცხული არა ვარ ნაკრებში და, უნდა გამოვტყდე, ასეთმა ყურადღებამ ფრთები შემასხა, რწმენა შემმატა. მე ვფიქრობ, ამ განწყობილებამ ძალიან დიდი გავლენა მოახდინა ჩემს თამაშზე. ახლა მეც მიკვირს, მაგრამ იქ თავისუფლად, ლაღად ვთამაშობდი, ხოლო ამერიკელებთან მატჩში, როცა ოქროს მედლების ბედი წყდებოდა, თოთხმეტივე საჯარიმო ტყორცნა კარგად გამოვიყენე. იყო გამარჯვების კიდევ ერთი, არსებითი პირობა — ჩვენმა უფროსმა მწვრთნელმა ვლადიმერ კონდრაშინმა შეძლო გუნდში შეექმნა ჩემთვის მანამდე არნახული ატმოსფერო, სადაც ყოველი სპორტსმენი უდიდესი ყურადღებით იყო გარემოსილი, სადაც თითოეული ჩვენგანი გრძნობდა, რომ ძალიან სჭირდებოდა გუნდს. ყველას წარმატებისა თუ წარუმატებლობის უშუალო მონაწილედ მიგვაჩნდა თავი, ეს კი აუცილებელია ესოდენ საპასუხისმგებლო შეჯიბრების დროს.

მე უდიდესი პატივი მხვდა — საუკეთესო თავდამსხმელად დამასახელეს ჩემპიონატში, რომელიც ჩვენი გუნდის გამარჯვებით დამთავრდა. ამან ადვილად შეიძლება კაცს თავბრუ დაახვიოს. მაგრამ ახლა, როცა ფხიზლად ვაფასებ ჩემს თამაშს ჩემპიონატში, ვფიქრობ, რომ კიდევ მეტი შემეძლო. ბოლო მატჩში აშშ-ს ნაკრებთან 38 ქულა დავაგროვე, სტატისტიკოსები ამბობენ, ჩვენი ნაკრების წევრებიდან გუნდის არსებობის ისტორიაში ამდენი ქულა არავის მოუპოვებიაო. მაგრამ, ვფიქრობ, მთავარი სიზუსტე როდია. მართალია, ჩემპიონატის დაწყებამდე მეტოქეებმა ზოგი რამ იცოდნენ ჩემს შესახებ, მაგრამ მე მაინც დებიუტანტი ვიყავი მათთვის და მაინცდამაინც მკაცრ „მეურვეობას" არ მიწევდნენ. მათ ყურადღება გადატანილი ჰქონდათ უმთავრესად ისეთ დიდოსტატებზე, როგორიც არიან ალექსანდრე და სერგეი ბელოვები, მოდესტას პაულაუსკასი. ესენი მართლაც უმაღლესი კლასის კალათბურთელები არიან. მათს გვერდით ცუდად თამაში, უბრალოდ, არ შეიძლება".

აქ დავძენთ, რომ საბჭოთა ნაკრების მწვრთნელის ვ. კონდრაშინის აზრით, სალნიკოვს დიდი დამსახურება მიუძღვის საბჭოთა გუნდის წარმატებაში, მაგრამ დაცვაში უშეცდომოდ მაინც არ უთამაშია. „თუ სალნიკოვი თავს აიძულებს ცოტა მეტი იმუშაოს დაცვაში თამაშის გაუმჯობესებისთვის, ყველაფერი რიგზე იქნება", — ამბობს მწვრთნელი.

იქ, პუერტო-რიკოში, ქებაში გულუხვმა ჟურნალისტებმა ალექსანდრე სალნიკოვს ათასგვარი სახელები შეარქვეს: „ოქროს ხელი", „გამოცანა" და ასე შემდეგ. დიახ, სალნიკოვს „ტყორცნის გრძნობა" მართლაც თანდაყოლილი აქვს, მაგრამ თავის მთავარ ღირსებად მას კალათბურთის სიყვარული მიაჩნია. იმ დღიდან, როცა 14 წლის ბიჭმა პირველად მოჰკიდა ხელი ბურთს და მაშინ ესოდენ „შორეულ" კალათში ისროლა, ალექსანდრეს სამუდამოდ შეეყარა ამ თამაშის „სენი".

ბავშვობა სალნიკოვმა სამხრეთის ქალაქ ტუაფსეში გაატარა, სადაც თამაში თითქმის მთელი წლის მანძილზე შეიძლებოდა. ერთხელ სასკოლო შეჯიბრების დროს (სამას სკოლა მუდამ პირველი იყო საქალაქო ტურნირებში) ბიჭს თვალი დაადგა ბავშვთა და ჭაბუკთა სპორტული სკოლის მწვრთნელმა, ვოლგოგრადის ცნობილი საკალათბურთო სკოლის აღზრდილმა ვიქტორ ფიონოვმა. მოეწონა ბიჭი და სექციაში მიიწვია. სალნიკოვი დიდად დავალებულია მისგან.

1966 წელს გამოსაშვებ საღამოზე ალექსანდრეს სიმწიფის ატესტატთან ერთად გადასცეს კალათბურთში I თანრიგის მინიჭების მოწმობა.

მამას — ფლოტის ოფიცერს — სურდა, რომ შვილი მის კვალს გაჰყოლოდა, სამხედრო-საზღვაო სასწავლებელში შესულიყო. ალექსანდრეს კი მედიცინა იტაცებდა. ჭაბუკმა „ხასიათის სიმტკიცე" გამოიჩინა და ყუბანის სამედიცინო ინსტიტუტში ჩააბარა გამოცდები. მალე იგი კრასნოდარის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდში მიიწვიეს, სადაც 1968—1972 წლებში „კალათბურთის უნივერსიტეტი დაამთავრა". იქ გაუგო გემო ნამდვილ თამაშს და დაიწყო ოცნება ოსტატის სახელის მოპოვებაზე. იგი მადლიერების გრძნობით იგონებს თავის კრასნოდარელ მასწავლებლებს — ინსტიტუტის გუნდის მწვრთნელს ვ. მიხაილენკოს, „ტრუდის" ბრწყინვალე კალათბურთელებს, სპორტის ოსტატებს ნ. მარკადეევსა და ვ. სერგეევს.

სალნიკოვი ფანატიკური გატაცებით ვარჯიშობდა, ზოგჯერ — ქანცის გაწყვეტამდე. ერთ საწვრთნელ მეცადინეობაზე 400-500-ჯერ ტყორცნიდა საშუალო მანძილიდან. თანდათან გამოუმუშავდა სროლის სიზუსტე. „ტრუდის" გულშემატკივრებმა (ამ გუნდმა 1969 წელს „ა" კლასის პირველ ჯგუფში თამაშის უფლება მოიპოვა), გამოიანგარიშეს, რომ 1970-71 წლების საკავშირო პირველობის 52 მატჩში სალნიკოვის ანგარიშზე თითოეულ შეხვედრაში 30 ქულა მოდიოდა. 1971 წლის აგვისტოში, როგორც იქნა, სალნიკოვს ოცნება შეუსრულდა: სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა. 1972 წელს კიევის „სტროიტელში" მიიწვიეს.

მაგრამ ალექსანდრე სალნიკოვის კარიერა კალათბურთში უღრუბლო არ ყოფილა. გამოდიოდა ისე, რომ ყოველი ახალი საფეხურის გადალახვა სკეპტიციზმისა და ურწმუნოების „აკომპანემენტით" უხდებოდა. უმაღლეს ლიგაში გადასვლის დროსაც არ აკლდა ავი წინასწარმეტყველება: აქ გმირი იყავი, იქ კი სათადარიგოთა მერხზე დაჯდები და, დიდებას ვინ დაეძებს, ბურთს ახლოსაც არავინ გაგაკარებსო. ეს „წინასწარმეტყველება" საწინააღმდეგო ეფექტს იძლეოდა: სპორტსმენს კიდევ უფრო მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი გამარჯვებისთვის შეუპოვრად ებრძოლა.

საუბრის დასასრულს დავათვალიერეთ ალექსანდრე სალნიკოვის საოჯახო მუზეუმი, რომელიც ჯერჯერობით დიდი სიმდიდრით არ გამოირჩევა. მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედლის გვერდით მედიცინის ემბლემა იწონებდა თავს.

— გამოცდებზე და ჩათვლების დროს რიგითი სტუდენტი ვიყავი. ვერ გეტყვით, რით უფრო ვამაყობ — ჩემპიონის მედლით თუ მედიცინის მუშაკის დიპლომით. სპორტული მედიცინის კათედრაზე დამნიშნეს. ახლა „სტროიტელში" ორი ექიმი ვართ — მე და გუნდის ვეტერანი ნიკოლოზ პოგულიაი. ვოცნებობ მეცნიერულ მუშაობაზე, მაგრამ, რასაკვირველია, ეს სპორტის ხარჯზე არ უნდა მოხდეს. სხვათა შორის, მედიცინა ჩვენი „ოჯახური პროფესიაა" — ჩემი მეუღლე ტანია მომავალი სტომატოლოგი გახლავთ, — მითხრა ალექსანდრემ.

გამოთხოვებისას შეკითხვით მივმართე ოჯახის ყველაზე უმცროს წევრს: „ლიოშა, შენ რა თამაში უფრო გიყვარს?" „ფეხბურთი" — მხიარული ყვირილით მიპასუხა ბიჭმა. მამამისს არ ესიამოვნა ეს პასუხი.

მე კი გავიფიქრე, რომ სალნიკოვების ოჯახს კალათბურთის წინაშე ხარკი უკვე მოხდილი აქვს.

ს. ბელოვი.
(საკდესის კორ).

კიევი.



მწვერვალებისკენ...

ლ. ფაჩუაშვილის ფოტო.

კაპიტალის სამყაროში

## შემოსავლისა და მოგების წყარო

რომელი სახეობაა ყველაზე პოპულარული ამერიკის შეერთებულ შტატებში? ამ საკითხს გულმოდგინედ სწავლობენ სპორტის ისტორიკოსები, მაგრამ არ გვეგონოთ, თითქოს მათ სოციოლოგიური ინტერესები ამოძრავებდეთ. უბრალოდ, კაპიტალისტურ სამყაროში, სადაც ყველაფერი მოგების კანონს ექვემდებარება, სპორტის ბიზნესმენებს მოსვენებას არ აძლევს მაყურებლების სიმპათიების არათანმიმდევრობა და ცვალებადობა.

ბურჟუაზიული სპორტის თეორეტიკოსები ასე ფიქრობენ: პოპულარულია ესა თუ ის სპორტი მაყურებლებში? — ესე იგი შეიძლება მისთვის ფულის დახარჯვა. ის ფაქტი, რომ სპორტი, პირველ ყოვლისა, ადამიანის სულიერ და ფიზიკურ ჩამოყალიბებას ემსახურება, მათ სიცილადაც არ ჰყოფნით. რა საჭიროა სახსრების ხარჯვა ისეთი ძვირად ღირებული სპორტის პროპაგანდაზე, როგორიც, ვთქვათ, თანამედროვე ხუთჭიდია, თუ მას მაყურებელი არ ჰყავს და არ შეიძლება გახდეს შემოსავლის წყარო?

ერთი სიტყვით, სპორტის პოპულარობა შეერთებულ შტატებში პირდაპირ დაკავშირებულია მისგან მიღებული შემოსავლის რაოდენობასთან. ამიტომაც სპორტული მონოპოლიები არ ერიდებიან მილიონების ხარჯვას ისეთი სახეობებისთვის, როგორიცაა კალათბურთი, ამერიკული ფეხბურთი, ბეისბოლი ან კრივი. ამიტომაც ექცევა შეერთებულ შტატებში ნაკლები ყურადღება სპორტის ისეთ ოლიმპიურ სახეობებს, როგორიცაა ტანვარჯიში და ველოსპორტი, ფრენბურთი და ფარიკაობა...

ამას წინათ ეგრეთ წოდებულმა სპორტის სოციოლოგებმა აღმოაჩინეს, რომ ამერიკელ მაყურებლებში თანდათანობით ილვიძებს ინტერესი ჩვეულებრივი ფეხბურთისადმი. და აი, მან ერთბაშად მნიშვნელობით მეხუთე ადგილი დაიკავა ამერიკაში დანერგილ სახეობათა შორის. ფეხბურთს, სხვა სახეობისგან განსხვავებით, ამ ადამიანთა თვალში ის უპირატესობა აქვს, რომ მას შეიძლება ჰყავდეს უდიდესი აუდიტორია. აუდიტორია კი თავისთავად შემოსავალს გულისხმობს. ამიტომ ჩვეულებრივი ფეხბურთის პოპულარიზაციას ამერიკელი ბიზნესმენები არ ერიდებიან.

იმავე სოციოლოგების აზრით, ამჟამად ამერიკაში პოპულარობის მიხედვით სპორტის 5 სახეობის გამოყოფა შეიძლება. ეს სახეობებია: 1. ამერიკული ფეხბურთი, 2. ბეისბოლი, 3. კალათბურთი, 4. კრივი, 5. ჩვეულებრივი ფეხბურთი.

## სტატისტიკა, სტატისტიკა...

თვეზე ნაკლები დარჩა მოჭადრაკევაჟთა შორის მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩის დაწყებამდე. მაგრამ საჭადრაკო სამყარო შეშფოთებულია იმ ამბით, რომ შესაძლოა უკვე ამ მატჩმა დაასახელოს მსოფლიო ჩემპიონი, ვინაიდან, როგორც ცნობილია, მსოფლიოს ამჟამინდელმა ჩემპიონმა, ამერიკელმა დიდოსტატმა რ. ფიშერმა უარი თქვა თავის წოდებაზე. იგი განაწყენებულია იმით, რომ ფიდემ არ მიიღო მისი წინადადებები ამ მაღალი წოდებისთვის მატჩის რეგლამენტის შეცვლის თაობაზე. ისიც ცნობილია, რომ ფიდეს პრეზიდენტმა მ. ეუვემ სთხოვა ფიშერს გადაეხედა თავისი წინადადებისთვის და ფედერაციისთვის დადებითი პასუხი შეეტყობინებინა მომავალი წლის 1 თებერვლამდე.

ფიშერის პასუხი ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ ის კი დანამდვილებით ვიცით, რომ ჩემპიონი თავისი უარის შემდეგაც დაბეჯითებით აანალიზებს საბჭოთა დიდოსტატ ა. კარპოვის მიერ ნიცის მსოფლიო ოლიმპიადაში ნათამაშევ პარტიებს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მესამედ გამოიცა ფ. ბრეიდის წიგნი ფიშერის შემოქმედებაზე. მასში მოყვანილია მსოფლიო ჩემპიონის საინტერესო განცხადება: „მე ყოველთვის ვცდილობ მატერიალური უპირატესობის მოპოვებას. ყველაზე უკეთ ისეთ პოზიციებში ვგრძნობ თავს, როცა ვიგერიებ მეტოქის შეტევას, რომელმაც რაღაც შემომწირა".

ბრეიდს მოჰყავს საინტერესო სტატისტიკური მონაცემები ფიშერის გამოსვლების შესახებ. დაწყებული 1955 წლიდან, როცა დღევანდელი ჩემპიონი 12 წლისა იყო, მას ჩაუტარებია 731 სატურნირო თუ სამატჩო პარტია 184 მეტოქის წინააღმდეგ. აქედან ფიშერს მოუგია 416, ყაიმით დაუმთავრებია 234 და წაუგია 81. ამერიკელი დიდოსტატი გამოსულა 47 ტურნირსა და 13 მატჩში. 25 ტურნირში მან წმინდად აიღო პირველი ადგილი, ხოლო ხუთში გაინაწილა გამარჯვება, 11 მატჩი მოიგო, ხოლო ორი ყაიმით დაასრულა. 13 მოჭადრაკეს აქვს ფიშერთან დადებითი ბალანსი და მხოლოდ სამს (საბჭოთა დიდოსტატებს, მსოფლიოს ექს-ჩემპიონს მ. ტალს და ე. გელერს, აგრეთვე, იუგოსლაველ დიდოსტატ დ. იანოშევიჩს) უთამაშია მასთან ერთზე მეტი პარტია. სხვებზე ხშირად ფიშერს შეხვედრიან მსოფლიოს ექს-ჩემპიონები ტ. პეტროსიანი (27-ჯერ) და ბ. სპასკი (25-ჯერ). ყველაზე დიდ წარმატებას დიდოსტატებთან შეხვედრებში ფიშერმა მიაღწია ამერიკელ რ. ბისჰაიერთან (+13=1—1) და დანიელ ბ. ლარსენთან (+10=1—2).

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 02787